ოქმი:**ო37. 3723363001**

თარიღი:**29/12/2023**

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 27 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

11.00 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და

ტ. აროშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარე- მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, თ. გოგუაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიულოცა საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და ქვეყნის მოსახლეობას ევროკანდიდატის სტატუსის მინიჭება, დამდეგი შობა-ახალი წელი და უსურვა წარმატებები, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 36 - ხმით.

დღის წესრიგი

20.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ თალაკვაძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით, წინაღმდეგი -2.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი საკრებულოს სხდომაა, უნდა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი, კოლეგებს მოუწოდა ორგანიზებულობისაკენ და სიტყვა ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენისათვის გადასცა მუნიციპალიტეტის მერს ავ. თალაკვაძეს.

თანამომხსენებელმა ავ. თალაკვაძემ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ქვეყანას მიულოცა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებაზე, იგი დაიგეგმა 37 მილიონ 742 ათასი ლარით, 4-მილიონით მეტით ვიდრე მიმდინარე წლის ბიუჯეტი, მოკლედ ისაუბრა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარ შედეგებზე, აღნიშნა ბიუჯეტის უპრეცედენტო ზრდაზე, მადლობა გადაუხადა მთავრობას და პრემიერ-მინისტრს ი. ღარიბაშვილს მხარდაჭერისა და მნიშვნელოვანი ინფრასტუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის. შემდეგ საკრებულოს წევრებს გააცნო 2024 წლის ბიუჟეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები, გადასახდელები და ხარჯები, ხაზი გაუსვა, რომ 300 ათას ლარზე მეტით გაიზარდა სოციალური პროგრამების დაფინანსება, დაემატა ახალი მნიშვნელოვანი პროგრამები, მათ შორის საზღვარგარეთ ბავშვთა ონკოლოგიური ოპერაციული მკურნალობის პროგრამა, რომლებიც არ კეთდება საქართველოში. აღნიშნა, რომ უკვე ხდება მიმდინარე წლის სექტემბრის თვის სტიქიით დაზარალებულ ოჯახებზე კომპენსაციების გაცემა, კონკრეტულად ისაუბრა ყველა ძირითად პროგრამაზე, თითოელი პრიორიტეტული მუხლის დაფინანსებაზე, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალისა და ინფრასტუქტურის, ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე, გარემოსა და ეკოლოგიის გაუმჯობესების, დასუფთავების ხარისხის ამაღლებაზე, კულტურისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებაზე, აღნიშნა საფეხბურთო კლუბ „მერცხლისა“ და სარაგბო კლუბ „არწივების“, სპორტსმენების მიღწევებზე. ისაუბრა ზოგადი განათლების სფეროში გამოყოფილ თანხებზე, ამასთან აღნიშნა, მიუსაფარი ცხოველების პრობლემებზე, რომელიც მთელი ქვეყნის მაშტაბით აქტუალურია, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო სექტორთან მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ბოლოს მადლობა გადაუხადა ქვეყნის მთავრობას, პარლამენტს, პარლამენტის მაჟორიტარ წევრს, სახელმწიფო რწმუნებულს გურიის მხარეში, საკრებულოს მუშაობაში მხარდაჭერისათვის.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, დ. დარჩიამ, შესთავაზა საკრებულოს წევრებს მომხსენებლისათვის შეკითხვები მიეწოდებინათ წერილობით, მაგრამ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ მოითხოვა სიტყვა ზეპირი შეკითხვისთვის, ჯერ ქართველ ხალხს მიულოცა ევრო -

კანდიდატის სტატუსის მინიჭება, შემდეგ დაიწყო დემაგოგიური განცხადების გაკეთება, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა ქვეყანას არ მიეღო ევრო-კანდიდატის სტატუსი, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი მორგებულია მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, იზრდება საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირების ხელფასები და სხვა, ამ განცხადებას მოჰყვა ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა დ. მჟავანაძეს დაეცვა რეგლამენტის მოთხოვნები, დაესვა შეკითხვა მომხსენებლისათვის და ესაუბრა ბიუჯეტის პროექტზე, ფრაქციის თავმჯდომარეს მხარი აუბა ფრაქციის წევრმა თ.ნიკოლაშვილმაც, დაიწყო დემაგოგიური განცხადებების გაკეთება, რომ დიდი თანხები იხარჯება დასუფთავებაზე, სოფელ გურიანთაში არაა აღდგენილი ხიდი, ბავშვები შიმშილობენ, არაა გადაჭრილი მიუსაფარი ცხოველების პრობლემა და ა. შ. მუნიციპალიტეტის მერმა ავ. თალაკვაძემ სთხოვა დაესვათ კონკრეტული შეკითხვები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, სხდომის ჩაშლის მცდელობის შემდეგ ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დატოვა საკრებულოს სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ სიტყვა მისცა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს გ. ჩავლეშვილს, რომელმაც განაცხადა: მუნიციპალიტეტის მერმა ავ. თალაკვაძემ დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე, მან ყურადღება გაამახვილა ხარჯებზე და გადასახდელებზე, სარეზერვო ფონდზე, აღნიშნა, რომ იგი კანონმდებლობით განსაზღვრულზე ნაკლებია, პროექტები როგორც პირველი, ასევე შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული, საკრებულოში შემოვიდა კანონმდებლობის სრული დაცვით, მასზე იმსჯელეს კომისიებმა და ფრაქციებმა, არასამთავრობო სექტორმა, მოუწოდა კოლეგებს მისი მხარდაჭერისაკენ. აღნიშნა რადიკალური ოპოზიციის ჩვეულ დესტრუქციულ ქმედებებზე. ამის შემდეგ საკრებულოს წევრებმა მუნიციპალიტეტის მერს დაუსვეს შეკითხვები: ფრაქცია „გახარია საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ: პარკირების გადასახადზე და მიუსაფარ ცხოველებზე, ამავე ფრაქციის წევრმა ს. ქარცივაძემ- დედ-მამით ობოლი და დაბალი სოციალური ქულების მქონე ოჯახების, შ.შ.მ სტუდენტების სწავლის საფაურის დაფინანსებაზე, მასმედიის წარმომადგენელმა გ. გირკელიძემ -სოფელ შემოქმედში არსებულ ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმზე.

მუნიციპალიტეტის მერმა ავ. თალაკვაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს: ავტომანქანების პარკირებაში დაინერგება პროგრამული სისტემა, საფასურის გადახდა მოხდება აპარატებით, პარკირების გადასახადი იქნება შეთანხმებული და ერთიანი როგორც კერძო, ასევე მუნიციპალურ სადგომებზე, მომავალი წლის თებერვლის თვეში პარკინგის ადმინისტრირება მოწესრიგებული იქნება, მიუსაფარი ცხოველების პრობლემა არამარტო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, არამედ მთლიანად ქვეყნის პრობლემაა, მიმდინარეობს მუშაობა როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო სექტორთან სიტუაციის გაუმჯობესებისათვის, უნდა მოწესრიგდეს მიტოვების და გამრავლების კანონმდებლობა, ამჟამად ძირითადად ხდება მიუსაფარი ცხოველების სტერილიზაცია. დედ-მამით ობოლი სტუდენტების სწავლების საფასურს ფარავს სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი ახდენს წარჩინებული სტუდენტების წახალისებას და განსაკუთრებულ შემთხვევებში ფარავს სწავლის ქირას, მათ შორის შ.შ.მ სტუდენტებისაც, რაც შეეხება სოფელ შემოქმედში არსებულ გურულ ეთნო სახლს -წლის მანძილზე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ვერ მოხერხდა მისთვის ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმის სტატუსის მინიჭება. ფრაქცია „გახარია საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ დასვა შეკითხვა დავით აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაციის თაობაზე, მერმა უპასუხა, რომ ეტაპობრივად მიდის ამ ქუჩის რეაბილიტაცია, მომავალ წელში დგეგმილია სანიაღვრე არხების მოწყობა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციმ იმსჯელა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, მოიწონა იგი მოუწოდა კოლეგებს მხარი დაეჭირათ მისთვის, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, მთავრობას, პრემიერ-მინისტრს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისათვის, მიულოცა ქართველ ხალხს და ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, შემდეგ მოკლე ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს წევრებს საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, მანაც აღნიშნა რადიკალური ოპოზიციის დესტრუქციულ ქმედებებზე, რომ მათ კვლავ საბოტაჟი გამოუცხადეს მუნიციპალიტეტის ძირითად ფინანსურ დოკუმენტს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა მიესალმა კოლეგებსა და დამსწრე საზოგადოებას, განაცხადა, რომ არ აპირებდა გამოსვლას, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერის ავ. თალაკვაძის მოხსენებამ მისცა სტიმული, განაცხადა, რომ ბიუჯეტი შეიძლება სრულდებოდეს რაოდენობრივ მაჩვენებლებში, მაგრამ მთავარია ხარისხი და მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი, პრიორიტეტული პრობლემების გადაწყვეტა, მერია და საკრებულო ორიენტირებული არაა მხოლოდ ერთი პრობლემების გადაჭრაზე, პრიორიტეტები მრავალფეროვანია, საბიუჯეტო ასიგნებების მართვა უაღრესად თანამედროვეა, ყურადღება გამახვილებულია საბოლოო შედეგებზე, განხორციელებული პროექტების უმრავლესობა მიმართულია მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და დასაქმების ზრდისაკენ. გაიზრდა ხელფასები, ადგილობრივი წარმოების დონე, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და მთლიანად გუნდს წარმატებული საქმიანობისათვის. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ სხდომის თავმჯდომარეობა დროებით გადააბარა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლ. ბიგვავას, რომელმაც სიტყვა მოხსენებისათვის მისცა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას, რომელმაც განაცხადა, რომ ორი საბიუჯეტო წელი გავიდა არჩევნებიდან, იყო პანდემიის გამო სერიოზული პრობლემები, რომლებიც მთავრობის დახმარებით გადაილახა, მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ძლიერდება, ამის დადასტურებაა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შთამბეჭდავი წინასწარი მონაცემები, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში შემოვიდა კნონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში, საჯაროდ განხილვის შემდეგ, შენიშვნებით დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას კორექტირებისათვის, საკრებულო განიხილავს კორექტირებულ პროექტს, ქვეყანა მიდის პროგრესის გზით, წინსვლაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც, ეს წინსვლა და განვითარება განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, რომელიც ორიენტირებულია მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაზე. მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ პროექტს. შემდეგ გაიმართა ბიუჯეტის მუხლობრივი კენჭისყრა, რომლის შემდეგაც კენჭი უყარეს მთლიან ბიუჯეტს, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 26 ხმით, წინააღმდეგი იყო 2-ხმა.

სხდომის თავმჯდომარემ დავით დარჩიამ კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და მოსახლეობას მიულოცა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ 13.20 საათზე გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 14.00 საათზე, შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 -მა წევრმა.

21.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

მარინა ვაშალომიძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ იგი განხილული იქნა საკრებულოს დარგობრივი კომისიების სხდომებზე, ტექნიკური შენიშვნების გამო დაუბრუნდა მერიას, კორექტირებული ვერსია აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

73.3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

74.4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან,ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მოსახლეობას მიულოცა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, ხაზი გაუსვა როგორც ადგილობრივი ისე ქვეყნის მასშტაბით რადიკალური ოპოზიციის მავნებლურ საქმიანობას. მადლობა გადაუხდა საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერისათვის, შემდეგ გააცნო განსახილველი საკითხი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ.

თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

75.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის“ დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებმა ბ. თოიძემ და დ. ჭაკნელიძემ განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერენ მის დამტკიცებას.

76.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

77.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებების (ს.კ. 26.26.47.199, ს.კ. 26.26.47.198, ს.კ. 26.26.47.197, ს.კ. 26.26.47.195, ს.კ. 26.26.47.194, ს.კ. 26.26.47.196, ს.კ. 26.26.47.193, ს.კ. 26.26.47.192, ს.კ. 26.26.47.189, ს.კ. 26.26.47.202, ს.კ. 26.26.47.188, ს.კ. 26.26.47.127, ს.კ. 26.26.03.606, ს.კ. 26.26.48.094, ს.კ. 26.26.47.191, ს.კ. 26.26.47.190) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას

22.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

23.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

ამ საკითხის განხილვისას აღინიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისა და მისი უფროსის გ. ჭანუყვაძის კარგი მუშაობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

24.10. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

25.11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

26.12. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

78.13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

14. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი